განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია აზარტული და მომგებიანი თამაშობებიდან გამომდინარე მძიმე სოციალური ფონი საქართველოს მოსახლეობაში და ამით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირების აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამის აკრძალვა მაუწყებლობის საშუალებით, გარდა სპონსორობისა, რა დროსაც, ნედართული იქნება მხოლოდ აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორი სუბიექტის დასახელებისა და სასაქონლო ნიშნის (ლოგოტიპის) გავრცელება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლს ემატება 2^2 და 2^3 პუნქტები, რომლის თანახმადაც, იკრძალება აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამა, გარდა სპონსორობისა. სპონსორობის შემთხვევაში, დასაშვები იქნება მხოლოდ აზარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი მეწარმე სუბიექტის დასახელების ან/და სასაქონლო ნიშნის/ლოგოტიპის გავრცელება.

ამასთან, აღნიშნული აკრძალვა არ გავრცელდება წამახალისებელი გათამაშების რეკლამაზე, გარდა აზარტული და მომგებიანი თამაშობის წამახალისებელი რეკლამისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ შემთხვევაში, თუ აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამის აკრძალვის გამო შემცირებული რეკლამის რაოდენობა და შესაბამისი საგადახდო თანხების მოცულობა არ იქნა დაბალანსებული არსებული სარეკლამო დროის სხვა ტიპის რეკლამების ათვისებით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს იმ პირთა შემოსავლებზე, რომლებიც ახორციელებენ აზარტული და მომგებიანი თამაშობების რეკლამის დამზადებას ან/და მაუწყებლობის საშუალებით გავრცელებას. თუმცა, კონკრეტულად რა სახის გავლენას იქონიებს კანონპროექტი შესაბამის პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, დამოკიდებული იქნება კანონის იმპლემენტაციის პროცესზე, კერძოდ რა რაოდენობით შემცირდება აზარტული თამაშობების მომწყობთა შემოსავლები ამგვარი რეკლამების აკრძალვით და რამდენად მოხდება მაუწყებლების მიერ გამოყოფილი სარეკლამო დროის ათვისება სხვა ტიპის რეკლამებით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლევან გოგიჩაიშვილი, ირაკლი ბერაია, ირაკლი აბუსერიძე, გოგა გულორდავა, ბიძინა გეგიძე, ცოტნე ზურაბიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლევან გოგიჩაიშვილი, ირაკლი ბერაია, ირაკლი აბუსერიძე, გოგა გულორდავა, ბიძინა გეგიძე, ცოტნე ზურაბიანი.